

გამფრქვევ ქვეყნებთან, მაგ: ჩინეთთან  
შედარებით).

ამ დროისთვის, საქართველოს მხრიდან  
მომზადებულია სამი ეროვნული შეტყობინება  
კონვენციის მიმართ. მომზადდა კლიმატის  
ცვლილების შესახებ ქვეყნის მესამე ეროვნული  
შეტყობინება, რომლის ფარგლებშიც მომზადდა  
კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების სცენარები,  
შეფასდა სხვადასხვა ეკოსისტემებისა და  
ეკონომიკის დარგების, ასევე ცალკეული  
მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების  
მოწყვლადობა.

საქართველოს რეგიონებში შეიქმნა „კლიმატის  
ცვლილებისადმი აღაპტაციისა და ზეგავლენის  
შერჩილების ზომების ინსტიტუციონალიზაციის“  
პროგრამის განხორციელების სამუშაო ჯგუფები.

### რა არის მოსალოდნელი კლიმატის ცვლილების დროს?

- შეიცვლება და გადაგვარდება ეკოსისტემები,  
უმრავლესობა შეიძლება გაქრეს;
- შეიცვლება ცხოველთა, მცენარეთა  
სახეობების გავრცელების არე/ან გაქრება;
- შეიცვლება კონკრეტული რეგიონისათვის  
დამახასიათებელი კლიმატი;
- გახშირდება ბუნებრივი მოვლენები  
(წყალდიდობები, გვალგა, მტორი და  
ქარიშხალი, გახშირდება ტყის ხანძრები);
- შემცირება სასოფლო-სამეურნეო  
დანიშნულების მქონე ნიადაგების  
გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ.
- აიწევს ზღვის დონე;
- გაუარესდება ადამიანის ჯანმრთელობა;
- გახშირდება ინფექციური (გადამდები)  
დავადებები, ალერგიები;
- და ა.შ....

### პარიზის შეთნხმება

2015 წლის 30 ნოემბერი - 11 დეკემბერს,  
მსარეთა კონფერენციის 21-ე სესიაზე (COP 21),  
კონვენციის ხელმომწერმა მხარე ქვეყნებმა მიიღეს  
„პარიზის შეთნხმება“, მათ შორის იმის თაობაზე,  
რომ ქვეყნებმა არ უნდა დაუშვან დედამიწაზე  
ჰაერის საშუალო ტემპერატურის  $2^{\circ}\text{C}$ -ზე მეტით  
ზრდა წინაინდუსტრიულ დონესთან შედარებით .  
საქართველომ გაეროს კლიმატის ცვლილების  
ჩარჩო კონვენციას წარუდგინა „ეროვნულ  
დონეზე განსაზღვრული წვლილი“. ამ  
დროისთვის, ეროვნული წვლილის  
შესასრულებლად მიმდინარეობს მთელი რიგი  
ღონისძიებები და ცნობიერების ასამაღლებელი  
კამპანიები.

პროექტს „კლიმატის ფორუმი აღმოსაფლეთში  
II-ის ფარგლებში ეროვნული პოლიტიკის  
დიალოგზე მასალების მომზადება, ცნობადობის  
ამაღლება და საგანმანათლებლო საკითხების  
განხორციელება“, ახორციელებს საქართველოს  
მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-  
საქართველო, საქართველოს წითელი ჯვრის  
საზოგადოების მხარდაჭერით. ევროკავშირის,  
აქსტრიის განვითარების სააგენტოსა და ავსტრიის  
წითელი ჯვრის ფინანსური მხარდაჭერით.

\* \* \*

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია  
საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, მასში  
გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს  
მიჩნეული დონორთა მოსაზრებებად

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/  
დედამიწის მეგობრები-საქართველო  
საქართველო, თბილისი, სლავა მეტრეველის 4

ტელ: 2306221  
ელ.ფოსტა: [info@greens.ge](mailto:info@greens.ge)  
ვებ-გვერდი: [www.greens.ge](http://www.greens.ge)

## საქართველოს მფლობელი მომზადება/დაუშვან დედამიწის მეგობრები - საქართველო



## კლიმატის ცვლილება



2016 წლი

ბოლო დროს, საზოგადოების მხრიდან ხშირად გვსმენია ფრაზები: ძალიან დათბა... როგორიც ცხელი თვე იყო... გახშირდა ბუნებრივი კატასროფები... შემცირდა მოსავლიანობა... გაუარესდა ადამიანის ჯანმრთელობა... და ა.შ. ამ პროცესებს ისინი ხშირად კლიმატის ცვლილებას უკავშირებენ. თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში არ იციან რა, ან გინ არის მისი გამოწვევის მიზეზი.

**კლიმატის ცვლილება** - დღეს მსოფლიოს მთავრობების მიერ აღიარებულია და ამ დროსთვის დასახულია მრავალი სამოქმედო გეგმა, როგორც საერთაშორისო, ასევე რეგიონალურ და ცენტრალურ დონეზე პროცესის შერბილებისა და შეგუების მიზნით.

და მაინც, რა არის გლობალური დათბობით გამოწვეული კლიმატის ცვლილება?

**კლიმატის ცვლილება** - ესაა დედამიწის ან კონკრეტული რეგიონის საშუალო ტემპერატურის ცვლილება და ის გამოწვეულია დედამიწის ატმოსფეროში ზოგიერთი გაზის გადამეტებული კონცენტრაციით...

**გლობალური დათბობა** - ესაა დედამიწაზე ჰაერის საშუალო ტემპერატურის თანმიმდევრული ზრდაა, რომლის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ატმოსფეროში სათბური გაზების კონცენტრაციის ზრდა. რომელიც ჯერ კიდევ წინა ინდუსტრიული პერიოდიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება ...

**სათბურის გაზები** - კი ატმოსფეროში არსებული გაზებია, რომლებიც აბრკოლებენ დედამიწის ზედაპირიდან კოსმოსურ სივრცეში სითბური ენერგიის (სითბოს) გასხივებას (ამ მოვლენას კი "სათბურის ეფექტს" უწოდებენ), რაც უფრო მაღალია "სათბურის გაზების" კონცენტრაცია ატმოსფეროში, მით მეტი სითბო რჩება დედამიწაზე...

რა არის კლიმატის ცვლილების გამოწვევი მიზეზები?

**კაცობრიობის ისტორიაში გლობალური**

კლიმატის ცვლილებების სხვადასხვა პერიოდი გამოიყოფა, თუმცა თანამედროვე კლიმატის ცვლილებას პირდაპირ უკავშირებენ ადამიანის საწარმოო საქმიანობას და ინდუსტრიალიზაციას. ბუნების მიმართ გაუაზრებელ მამომებარებულურმა დამოკიდებულებამ კი შეუქცევადი პროცესები გამოიწვია. ამიტომ, საჭირო გახდა დროული რეაგირება, მიმდინარე პროცესების შერბილება და შედეგებთან შეგუება.

**აღიარებულია, რომ** გლობალური დათბობის გამომწვევი მიზეზია ადამიანის სამეწარმიანო საქმიანობის შედეგად ე.წ. "სათბურის გაზების" ემისიების (გაფრევევის) და შესაბამისად "სათბურის გაზების" კონცენტრაციების ზრდა ატმოსფეროში...

მთავარი სათბურის გაზებია ნახშირორჟანგი ( $\text{CO}_2$ ), მეთანი ( $\text{CH}_4$ ) და აზოტის ქვეუანგი ( $\text{N}_2\text{O}$ ). ნახშირორჟანგი გამოიყოფა წიაღისეული საწვავის (ნახშირი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი გაზი და სხვ.) წვისას, ასევე ტექნოლოგიურ პროცესებში ქიმიური რეაქციების შედეგად. მეთანის მნიშვნელოვანი წყაროა ნავთობისა და ბუნებრივი გაზის წარმოება, ტრანსპორტირება და ა.შ.

**მიმდინარე კლიმატის ცვლილება** - თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, რაც შესამჩნევი გახდა მსოფლიოში საშუალო წლიური ტემპერატურის მკვეთრი ზრდა და გახშირდა სხვადასხვა სახის ბუნებრივი კატასტროფები და ა.შ...

**ასე, რომ კლიმატის ცვლილება მიმდინარე პროცესია, რომელსაც ვერ შევაჩირებთ, მაგრამ შევარბილებთ - თუ გლობალურად ვიმოქმედებთ და შევამცირებთ სათბურის გაზების ემისიებს!**

**ცოტა რამ ისტორიიდან,** ჯერ კიდევ, 1979 წელს კლიმატისადმი მიძღვნილმა პირველმა მსოფლიო კონფერენციამ

კლიმატის ცვლილება სერიოზულ პრობლემად აღიარა. რის შემდგომაც, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, 90-იანი წლების დასაწყისში ჩატარდა მთელი რიგი სამთავრობათაშორისო კონფერენციები და შეხვედრები კლიმატის ცვლილების პრობლემებთან დაკავშირებით.

ამდენად, მსოფლიოს მთავრობებმა დაიწყეს მზადება ჩარჩო კონვენციის მომზადებაზე და **1992 წელს** მიიღეს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1994 წლიდან.

**კლიმატის ცვლილების** ჩარჩო კონვენციას იმ დროსთვის ხელი მოაწერა 154 ქვეყანამ, რაც იმას ნიშანვდა, რომ მსოფლიოს ლიდერებმა ერთხმად აღიარეს კლიმატის ცვლილება და დაიწყეს ერთობლივი ონისძებების გატარება.

კლიმატის ცვლილების კონვენციის საბოლოო მიზანია მიაღწიოს ატმოსფეროში სათბურის გაზების კონცენტრაციების სტაბილიზაციას იმ დონეზე, რომელიც არ დაუშვებს კლიმატურ სისტემაზე საშიშ ანთროპოგენურ ზემოქმედებას.

## კონვენციას საქართველომ ხელი მოაწერა 1994 წელს!

კონვენციის უმაღლესი ორგანოა ხელმომწერ მხარეთა კონფერენცია (Conference of Parties - COP). COP-ში კონვენციის ყველა მხარე ქვეყანაა წარმოდგენილი, რომლებიც განიხილავენ კონვენციისა და სხვა, COP-ის მიერ მიღებული საკანონოდ და ინსტრუმენტების განხორციელებას. შარშან პარიზში გაიმართა რიგით 21-ე შეხვედა COP-21, რომელშიც საქართველოს დელეგაციაც მონაწილეობდა.

მოყოლებული აქტან, ისევე როგორც სხვა ქვეყნები, საქართველოც აქტიურადაა ჩატარებული კლიმატის ცვლილების შერბილებისა და შეგუების პროცესში (მიუხედავად იმისა, რომ მისი წლიური ემისიების ჯამი მინიმალურია სხვა გიგანტ